საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორი

KA990194487831219

№02/47 **28 / ივნისი / 2019 წ.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №2 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ლი მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.

2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.

3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ამ ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის ქუჩა N52) .

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ანთიძე

2019 წლის 28 ივნისის
N02/47 ბრძანების დანართი

№	ფოტო	დასახელება	სააღრიცხვო ბარათის №
1		**საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროშა** სახეობა - სახვითი ხელოვნება; მხატვარი - იოსებ შარლემანი შექმნის დრო - 1918 წელი, თბილისი მასალა: ქაღალდი, შერეული ტექნიკა (გუაში, ფანქარი, ტუში), ზომები: მთლიანი - 23.5ხ16 სმ, დროშის - 13ხ10.5 სმ, შავთეთრი ზოლების - 4.5ხ2.5 სმ, ტარის - 21 სმ ამჟამინდელი ადგილსამყოფელი - საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდი N1864	**№სხ-3009**
2		**საქართველოს პირველი რესპუბლიკის გერბი** სახეობა - სახვითი ხელოვნება მხატვარი - იოსებ შარლემანი; კონცეფციის ავტორები - ივანე ჯავახიშვილი და დიმიტრი შევარდნაძე 1918 წელი, თბილისი მასალა: ქაღალდი, შერეული ტექნიკა (გუაში, ფანქარი, ტუში), ზომები: სრული - 57.5x44 სმ, ჩარჩოს ზომა - 54.5x41.5 სმ, დიამეტრი - 35 სმ ამჟამინდელი ადგილსამყოფელი - დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში / ეკუთვნის საქართველოს პარლამენტს	**№სხ-3010**
3		**„დავითნი“** სახეობა - დოკუმენტური, ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული შემდგენელ-გამომცემელი ვახტანგ VI-ის სტამბა შექმნის დრო - 1709 წელი, ტფილისი/ახლანდელი თბილისი მასალა: ყდა-ტყავი, ბლოკი-ქაღალდი ზომა: 13x9 სმ ამჟამინდელი ადგილსამყოფელი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა	**№003409**